პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 11 (373) პარასკევი, 16 სექტემბერი, 1949 წ. ფასი 30 კაპ.

ოქტომბრის 32-ე წლისთავს— ღირსეული შეხვედრა!

ახლოვდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთორმეტე წლისთავი. ახალი შესანიშნავი მიღწევებით ეგებება საბჭოთა ხალხი თავის საყვარელ დღესასწაულს.

დღითიდღე ფართოვდება წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება — საბჭოთა პატრიოტიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოვლინება. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ ისტორიული თარიღისათვის მრავალ საჩუქარს უძღვნიან დედასამშობლოს. მოსკოვში, კრემლში კიდევ ბევრი პატაკი გაიგზავნება. ისინი ჩვენს გასაოცარ გამარჯვებებზე მეტყველებენ, მათში სამშობლოსა და სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარული გამოსჭვივის.

მიმდინარე წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დედააზრი — ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებაა. აქეთკენ არის მიმართული მთელი საბჭოთა ხალხის ძალა, ყურადღება, მონდომება...

საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც ოქტომბრისადმი მიძღვნილ სოცშეჯიბრების ფერხულში არიან ჩაბმული. ისინი — კომუნიზმის აქტიური მშენებლები — ახალი მიღწევებით ხვდებიან დიად დღესასწაულს შრომაში, სწავლასა და სპორტში. შეუნელებლად ჩაღდება მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა, ახალი რეკორდები ემატება სამშობლოს, ფართოვდება სპორტულ ნაგებობათა ქსელი.

საქართველოს დედაქალაქის საწარმოთა ფიზკულტურელების მოწოდებას მასობრივ-სპორტული მუშაობის უკეთ დაყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ ერთსულოვნად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის ფიზკულტურელები. მათი კეთილშობილური ამოცანა — წლიური გეგმების ოქტომბრის დღესასწაულისათვის შესრულება — წარმატებით ხორციელდება.

ორ თვეზე ნაკლები დროა დარჩენილი ამ ღირსშესანიშნავ თარიღამდე. ის ხარვეზები, რომლებიც ჩვენს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გააჩნიათ გეგმების შესრულებაში, მოკლე ვადაში უნდა იქნას აღმოფხვრილი.

ეჭვს გარეშეა, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს ახალი წარმატებებით შეხვდნენ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დარგში.

ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში 10 სექტემბერს დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრებები ფრენბურთში -- მსოფლიო ჩემპიონატი მამაკაცთა შორის და ევროპის პირველობის გათამაშება ქალთა შორის.

ორივე ტურნირში საბჭოთა კავშირის სპორტსმენები მონაწილეობენ.

ჩვენი ქვეყნის ქალთა გუნდმა პირველი შეხვედრა ბელგიის ფრენბურთელებთან ჩაატარა. მატჩი მან ადვილად მოიგო ანგარიშით 3:0 (15:1, 15:6, 15:4).

ამ დღეს საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდი პოლონელ სპორტსმენებს შეხვდა. პირველი პარტია, რომელიც მეტად დაძაბული ბრძოლით ხასიათდებოდა, საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვებით დასრულდა — 15:13. მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:0 (15:13, 15:4, 15:3).

ზუგდიდში მიმდინარეობს სტადიონ-იპოდრომის მშენებლობა, რომელიც 6.000 მაყურებელს დაიტევს. სტადიონს ლამაზი არქიტექტურული გაფორმება ექნება (პროექტის ავტორი არქიტექტორი ი. კასრაძე). **სურათზე:** სტადიონის ტრიბუნების მშენებლობაზე.

ფოტო კ. ყირმელაშვილისა

მძლეოსანთა ახალი რეკორდები



მოსკოვი. (ჩვენი კორ.). ბრწყინვალე შედეგებით აღინიშნა ახლახან დამთავრებული საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მორბენლებმა, მხტომელებმა, მტყორცნელებმა მიმდინარე წლის მძლეოსნურ სეზონში ახალ წარმატებებს მიაღწიეს.

შესანიშნავი შედეგი აჩვენა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. კანაკიმ უროს ტყორცნაში. მან წელს სამჯერ გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი — უკანასკნელად ურო 58 მეტრსა და 59 სანტიმეტრზე ტყორცნა. ეს საერთაშორისო კლასის შედეგი 43 სანტიმეტრით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს.

მაყურებლები დიდი ინტერესით ელოდნენ სპორტის ყველაზე ახალგაზრდა ოსტატის თბილისელი ნ. ხნიკინას გამოსვლას. ნახევარფინალში 200 მეტრზე რბენაში ხნიკინამ მოუგო გასული წლის ჩემპიონს ზ. დუხოვიჩს. მძაფრ ბრძოლაში ჩატარდა ფინალი, სადაც ადგილები ასე განაწილდა: 1. სეჩენოვა, 2. ხნიკინა, 3. დუხოვიჩი. ეს დიდი მიღწევაა ნორჩი სპორტსმენისათვის, რომელიც პირველად მონაწილეობს მოზრდილებთან ერთად.

ფენომენალურ შედეგებს აღწევს მძლეოსნობაში მოსკოველი ა. ჩუდინა. ამჟამად იგი შვიდ სახეობაში ჩემპიონი და რეკორდსმენია. ჩუდინამ 80 მეტრზე თარჯრბენშიც სცადა თავისი ძალა და ოქროს მედალი მოიპოვა. გამორბენით სიგრძეზე ხტომაში ისევ ჩუდინამ გაიმარჯვა, — მისი შედეგია 5 მეტრი და 78 სანტიმეტრი.

მინსკელმა ტ. ლუნევმა პირველი რეკორდი 200 მეტრზე თარჯრბენში დაამყარა. მისი შედეგი 24,0 წამი ევროპაში საუკეთესოა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. ახალგაზრდა მძლეოსანმა რეკორდი 400 მეტრზე თარჯრბენშიც დაამყარა. მან მსუბუქად და თანაბრად გაირბინა დისტანცია და შესანიშნავი შედეგი — 52,7 აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ე. ბულანჩიკის (52,9) და ლიტუევის (53,1) შედეგებიც წინანდელ რეკორდზე უკეთესია.

ახალი საკავშირო მიღწევა ამანათრბენში 4×400 მ. დაამყარა უკრაინის გუნდმა (მოდოი, დენისენკო, ბულანჩიკი, ჩევგუნი) — 3:16,0.

ამანათრბენში 4×200 მ. ქალთათვის მოსკოვის გუნდმა ბლინოვას, მალშინას, დუხოვიჩისა და სეჩენოვას შემადგენლობით ახალ საკავშირო რეკორდს მიაღწია—42,1.

ლენინგრადელ რ. ლიულკოს მიერ 13 წლის წინათ დამყარებული რეკორდი 400 მეტრზე რბენაში (48,6) გაიმეორა მოსკოველმა ს. კომაროვმა.

შვიდი დღის საინტერესო ბრძოლების შედეგად ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მძლეოსნებმა საბჭოთა კავშირის რეკორდების ცხრილში 14 შესწორება შეიტანეს.

• • •

სურათზე: ზევით — მამაკაცთა ფინალური შეჯიბრება 100 მეტრზე რბენაში. მარცხნიდან მარჯვნივ — ნ. კარაკულოვი, ვ. სუხარევი, ი. შელომიცკი, ვ. კოროევი, ლ. სანაძე. ქვევით — ნ. დუმბაძე ბადროს ტყორცნის მომენტში.

ფოტო ვ. ხემიანოვისა და გ. გელოვანისა

თბილისის „დინამოს" ორი მოგება

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

ხარკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). 11 სექტემბერს ხარკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივები.

საქართველოს სპორტულ ღირსებას საკავშირო ტურნირში იცავენ თბილისის „დინამოს" და ოფიცერთა სახლის ვაჟთა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდები.

ტურნირის პირველ დღეს თბილისელმა დინამოელებმა დაამარცხეს ქ. ოდესის „მეცნიერების" კოლექტივი ანგარიშით 73:30. მეორე შეხვედრა თბილისის „დინამომ" სტალინაბადის კალათბურთელებთან ჩაატარა. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 74:15.

უცხოელთა მიღწევებზე მაღლა

ამ დღეებში მოსკოვში ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება სროლაში. შეიარაღებული ძალების სპორტსმენმა, სპორტის ოსტატმა გ. კუპკომ დაამყარა ორი ახალი საკავშირო რეკორდი. მან სამი მდგომარეობიდან (წოლით, დგომით და ჩოქვით) სროლის დროს მოაგროვა 1.093 ქულა 1.200 შესაძლებლიდან, რითაც კუპკომ საკუთარ საკავშირო რეკორდს 13 ქულით და მსოფლიო ოფიციალურ რეკორდს 47 ქულით გადააჭარბა. მანვე გააუმჯობესა წოლით სროლის საკავშირო რეკორდი, რომელიც მსოფლიო რეკორდს 18 ქულით აღემატება.

საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვება

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „ვაშაში" (ბუდაპეშტი)

ლენინგრადი. (ჩვენი კორ.). „დინამოს" სტადიონის ტრიბუნები მაყურებლებს ვერ იტევს. მოედანზე საერთაშორისო ამხანაგური მატჩის მონაწილეები ბუდაპეშტის „ვაშაში" და ლენინგრადის „ზენიტი" გამორბიან.

„ზენიტის" ფეხბურთელებმა პირველ წუთებშივე სასტიკი იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ნ. სმირნოვი კარგავს ბურთის გატანის უდაო შესაძლებლობას. შემდეგ სტუმრები, რომლებმაც შესანიშნავი დრიბლინგი და თავით თამაშის მაღალი ტექნიკა გამოამჟღავნეს, გადავიდნენ შეტევაზე. ბურთი მეტწილად მასპინძლების მოედანზე ტრიალებდა. ივანოვმა სამჯერ იხსნა თავისი კარი სილადის, ილოვსკის და საბოს დარტყმებისაგან.

პირველი ნახევარი სტუმრების აშკარა უპირატესობით ჩატარდა, მაგრამ „ზენიტის" დაცვითი რგოლები გადაულახავი აღმოჩნდნენ. ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

შეხვედრის მეორე ნახევარში მდგომარეობა რამდენიმედ შეიცვალა. ზენიტელები ძლიერ გააქტივდნენ და ახლა უნგრელებს მოუხდათ ლენინგრადელ თავდამსხმელების იერიშების მოგერიება. მე-4 წუთზე მარიუტინ-კოროტკოვის კომბინაციას კარგად ამთავრებს კომაროვი. „ვაშაშის" მეკარეს ბელა ბაკოს ბადიდან გამოაქვს პირველი ბურთი — 1:0. ლენინგრადელებს თითქოს ფრთები შეესხათ, მათ ბრწყინვალე კომბინაციებით დაიწყეს თამაში.

მე-13 წუთზე კომაროვს ვირტუოზული ნახტომით თავური გარტყმით გააქვს მეორე ბურთი „ვაშაშის" კარში. უნგრელები ცდილობენ ანგარიშის გაქვითვას, მაგრამ ივანოვი იგერიებს სილადისა და ილოვსკის ძლიერ ბურთებს. სტუმრები არ ზოგავენ თავიანთ ძალასა და ენერგიას საპასუხო ბურთების გასატანად, მაგრამ ყველა მათი ცდა უკუგდებული იქნა მასპინძლების ენერგიული და საზრიანი თამაშით.

მატჩი დამთავრდა ლენინგრადის „ზენიტის" გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ს. ტიხონოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

12 სექტემბერს უნგრელი ფეხბურთელები სამშობლოში გაემგზავრნენ.

მოსკოვის „დინამოსა" და „ვაშაშის" შეხვედრა დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე. **სურათზე:** დაძაბული მომენტი „ვაშაშის" საჯარიმო მოედანზე.

ფოტო ბ. პუშკინისა (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესება— ასეთია ამოცანა

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს პლენუმზე

12 სექტემბერს შედგა საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მესამე პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი პროფკავშირების ამოცანების შესახებ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. მოხსენებით გამოვიდა პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. გიორგაძე.

— საქართველოს პროფკავშირებმა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის, სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისა და ფიზკულტურული ბაზების მშენებლობის გასაუმჯობესებლად.

შეიქმნა რესპუბლიკური სექციები ფეხბურთში, კრივში, ტანვარჯიშში, ჭიდაობაში, ალპინიზმში და სხვ., რომლებშიც ჩაბმული არიან ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მწვრთნელთა კადრები. მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან დაარსდა ფიზკულტურისა და სპორტის საბჭო.

მიმდინარე წელს პროფკავშირების ხაზით რესპუბლიკაში უნდა შეიქმნეს 826 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი, მაგრამ გასული ნახევარი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა მხოლოდ 392, რაც გეგმის მხოლოდ 47,5 პროცენტს შეადგენს. ამასთან პროფკავშირებმა სპორტულ მოძრაობაში უნდა ჩააბან 80.000-მდე კაცი. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში პროფკავშირთა წევრების მხოლოდ 13 პროცენტია ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმული. პროფკავშირის ზოგიერთი რესპუბლიკური კომიტეტისა და ნებაყოფლობითი საზოგადოების სუსტი მუშაობის შედეგად მრავალ ორგანიზაციაში არაა შექმნილი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი.

რესპუბლიკაში კარგი მუშაობის მაგალითს იძლევა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც ნახევარი წლის განმავლობაში 1.036 კაცით გაიზარდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი კოლექტივები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია. ბევრი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება ძირითადში ეყრდნობა სპორტსმენთა ვიწრო წრეს და არ ზრუნავს მათი რიცხობრივი ზრდისა და დაოსტატებისათვის. ამიტომ საკუთარი სპორტსმენების უყოლობის გამო ზოგიერთი ნებაყოფლობითი საზოგადოება შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის „სესხულობს“ ან „თხოულობს“ სხვა საზოგადოებების სპორტსმენებს. მაგალითად, „ტრუდის“ კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებაში, მთლიანად „მეცნიერების“ მოთამაშეებისაგან შედგებოდა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ფიზიკური აღზრდის ძირითად საფუძველს მშთ კომპლექსი წარმოადგენს. წლის ბოლომდე რესპუბლიკაში უნდა მომზადდეს 20.000 მშთ ნიშნოსანი, მაგრამ ექვსი თვის მანძილზე მომზადებულია მშთ პირველი საფეხურის ნიშნოსანთა მხოლოდ 35 პროცენტი, მშთ მეორე საფეხურის — 30 პროცენტი და იმშთ ნიშნოსნების 34 პროცენტი. ამ უბანზე ჩვენ დიდი ჩამორჩენა გვაქვს და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის შესრულდეს. არასახარბიელო მდგომარეობაა აგრეთვე სპორტული სექციების მუშაობაშიც, რის გამო თანრიგოსანთა მომზადების გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 30 პროცენტითაა განაღდებული. სუსტადაა გაშლილი სპორტის ოსტატებსა და მიღწევოსნებს შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. ჩამორჩება ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების მომზადების საქმეც. 2.654 საზოგადოებრივი ინსტრუქტორის ნაცვლად ნახევარ წელში მომზადებულია მხოლოდ 1.210 კაცი.

ამხ. ა. გიორგაძე აგრეთვე შეეხო სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურება-კონტროლის, სპორტბაზების მშენებლობისა და გამოყენების საკითხებს.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ნავთის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გოგუამ, ნებაყოფლობითი საზოგადოება „პიშჩევიკის“ თავმჯდომარემ ამხ. კიზირიამ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ამხ. ზაუტაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ფარულავამ, სპორტის ოსტატმა ამხ. სანებლიძემ და სხვ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა ამხ. ი. კოჭლამაზაშვილმა.

რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

რესპუბლიკური სექციები

კალათბურთი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა კალათბურთის რესპუბლიკური სექცია 25 კაცის შემადგენლობით.

კალათბურთის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმი დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ნ. სტურუა (თავმჯდომარე), მ. ცხვედაძე (მოადგილე), ე. აბაშვილი (მდივანი), ნ. ჯორჯიკია, ლ. ძეკონსკი, ო. ქორქია, ჯ. ნიჟარაძე და თ. გეგელაშვილი.

კალათბურთის რესპუბლიკურ სექციასთან შეიქმნა მწვრთნელთა საბჭო გ. მეუნარგიას თავმჯდომარეობით.

კალათბურთის რესპუბლიკურ მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმში შედიან ლ. ფალავანდიშვილი (თავმჯდომარე), ვ ჯაფარიძე, ზ. მეგრელიშვილი, გ. აკოფოვი და ე. აბაშვილი.

ცხენოსნობა

ცხენოსნური სპორტის რესპუბლიკური სექცია დამტკიცდა 26 კაცის შემადგენლობით.

ცხენოსნური სპორტის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმში შედიან: ქ. ნაჭყებია (თავმჯდომარე), ი. კახიანი (მოადგილე), ი. კიზირია (მოადგილე), მ. ჭავჭავაძე და ე. ძიძიგური.

ცხენოსნური სპორტის რესპუბლიკურ სექციასთან შეიქმნა მწვრთნელთა საბჭო მ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით.

ცხენოსნური სპორტის რესპუბლიკურ მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმში შევიდნენ: მ. ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), გ. გრანდილევსკი (მოადგილე), გ. ბაზირაშვილი, ე. ძიძიგური და ი. კიზირია.

წყალჯომარდობა

საწყლოსნო სპორტის რესპუბლიკური სექცია დამტკიცდა 21 კაცის შემადგენლობით.

საწყლოსნო სპორტის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმი დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: შ. მუსასტიკოვი (თავმჯდომარე), ლ. იოაკიმიდი (მოადგილე), ა. გეგელია, ა. რუხაძე, თ. ტალიანსკაია, ნ. მუსასტიკოვი, რ. ჩაჩავა, გ. კალანდაძე და გ. კაპანაძე.

საწყლოსნო სპორტის რესპუბლიკურ სექციასთან შეიქმნა მწვრთნელთა საბჭო ლ. იოაკიმიდის თავმჯდომარეობით.

საწყლოსნო სპორტის რესპუბლიკურ მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმში შედიან ა. გეგელია (თავმჯდომარე), ნ. მუსასტიკოვი, ა. რუხაძე, ა. ესიკოვსკი და ვ. რაზმაძე.



სოხუმელი ახალგაზრდობა დიდი გატაცებით ეუფლება საწყლოსნო სპორტის სხვადასხვა სახეს. წყალბურთელები, მოცურავეები, ნიჩბოსნები საწრთვნელი ვარჯიშის გარდა ხშირად ამხანაგურ შეჯიბრებებსაც აწყობენ. **სურათზე:** სოხუმელი ნიჩბოსნები საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ფოტო გ. კვირკველიასი

ბელადის სახელობის ქარხანაში

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის 300-მდე ახალგაზრდა გაერთიანებულია სპორტის სხვადასხვა სექციაში და თავისუფალ დროს იქ ატარებს. ახალგაზრდა მუშები დიდი გატაცებითა და მონდომებით მეცადინეობენ. საკმარისია ითქვას, რომ ფიზკულტურულ შეჯიბრებებში მათ ყოველთვის საპატიო ადგილი უკავიათ.

ქარხნის ფეხბურთელთა გუნდს არაერთხელ დაუკავებია პირველი ადგილი ლენინის რაიონის პირველობაში და საქარხნო-საფაბრიკო სპარტაკიადაში.

ფრენბურთის სექციას ხელმძღვანელობს გუნდის კაპიტანი, ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსი, ინჟინერი ვ. გვაზავა. წარმატება აქვს აგრეთვე ჭადრაკის წრეს, რომელსაც სამსხმელო საამქროს პარტბიუროს მდივანი ინჟინერი ი. მეეროვი ხელმძღვანელობს. მოჭადრაკეთა შორის გამოირჩევიან სატენდერო საამქროს უფროსი, ინჟინერი შენგელია, საიარაღო საამქროს ახალგაზრდა ზეინკალი პეტროსიანი და სხვ.

ყოველდღიური მუშაობის შედეგად სპორტული მომზადების დონეს იმაღლებენ ქარხნის კალათბურთელები, მოჭიდავეები, ძალოსნები და სხვ.

საჭიდაო სარბიელი მრავალ მუშასა და მაყურებელს იზიდავს. იქვე ახლოს ეწყობა საამქროთა შორის შეჯიბრება ფეხბურთში. მოჭადრაკეები და მოშაშეები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ასე ტარდება თითქმის ყოველდღე ერთსაათიანი შესვენება ქარხანაში.

„ლოკომოტივის“ რაისაბჭო სისტემატურ ყურადღებას აქცევს ფიზკულტურელთა მომზადების საქმეს. მრავალი ახალი ფიზკულტურელი შეემატა ქარხანას, მათ შორის ქართული ჭიდაობის ოსტატი ს. ბახიაშვილი, მოცურავე ა. ლეშჩენკო და სხვ.

წელს ქარხნის 150 ფიზკულტურელმა უნდა ჩააბაროს მშთ პირველი და მეორე საფეხურის ნორმები. პირველ ივლისისათვის 82 კაცს უკვე ჩაბარებული ჰქონდა პირველი საფეხურის ნორმები. მშთ მეორე საფეხურის ნორმები 18 კაცის ნაცვლად დღეისათვის უკვე ჩაბარებული აქვს 22 კაცს. ქარხანას ჰყავს 5 მსაჯი და სამი თანრიგოსანი სხვადასხვა სპორტულ სახეობაში.

ქარხნის ტერიტორიაზე უკვე დამთავრდა საკუთარი სპორტული ბაზის მშენებლობა. მშენებლობაზე ყოველდღიურად 120-150 კაცი მუშაობდა.

ამ დღეებში საქარხნო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება — ჩატარებულ იქნას სემინარები საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, ძირეული საბჭოს თავმჯდომარეებისა და ფიზორგების მოსამზადებლად. სემინარში გაერთიანებულია 30 კაცი.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ჯერ კიდევ საგრძნობი ნაკლოვანებები გვაქვს ფიზკულტურულ მუშაობაში. ზოგიერთი ახალგაზრდა დღემდე სპორტული მუშაობის გარეშეა. ქარხნის საამქროთა ფიზკულტურული ხელმძღვანელების მომზადების დონე დაბალია, მოუწესრიგებელია დილით მუშაობის დაწყებამდე საამქროებში ვარჯიშის ჩატარების საქმე. მოხსენებები, საუბრები, ლექციები ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე შემთხვევით ხასიათს ატარებენ.

ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის ადმინისტრაციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ქარხანაში ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს.

გ. კაჭკაჭიშვილი,
თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

● ● ●

მოკლე ცნობები

გორი. ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. ამჟამად მიმდინარეობს სპორტული დარბაზის მშენებლობა.

ი. ჩიჩუა

• • •

ქუთაისი. სოფ. ქვიტირში აშენდა საცურაო აუზი. აუზის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის კოლმეურნე ფიზკულტურელებმა.

ე. სადიკოვი

* * *

ზესტაფონი. აქ ჩატარდა ქ. ზესტაფონის და ფეროშენადნობთა ქარხნის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, რომელიც მოიგო ქალაქის მოჭადრაკეთა კოლექტივმა.

რ. ჩიტორელიძე



თბილისის მე-5 რკინიგზის სკოლის მოსწავლე ნოდარ გვახარია ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავეა. ამას წინათ დამთავრებულ შეჯიბრებაში საქართველოს პირველობაზე ახალგაზრდა სპორტსმენმა ჩემპიონის სახელი მოიპოვა 100, 200 და 400 მეტრზე ზურგით ცურვაში. ამავე დროს ნ. გვახარიამ 400 მეტრზე ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 6:13,7. სურათზე: ნოდარ გვახარია.

ქართული ხალხური ფიზიკური ვარჯიშობანი

საუბარი მეორე

ქართველი ხალხი ძველთაგანვე უდიდეს ყურადღებას უთმობდა სამხედრო ფიზიკური ხასიათის ვარჯიშობებს. თითქმის ყოველ პატარა სოფელსაც კი ჰქონდა სპეციალურად ამორჩეული მოედანი, რომელზედაც იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრება. სოფლის მთელი მოსახლეობა, დაწყებული პატარებიდან ღრმა მოხუცებამდე, სამუშაოდან თავისუფალ დროს აქ იყრიდა თავს.

ვარჯიშობა ტარდებოდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროსაც—მთაში საძოვრებზე ყოფნისას, პურის მკაში შესვენებისას და სხვ. დროთა ვითარებაში ხალხმა ამათუიმ ადგილზე შეჯიბრების ჩატარება ტრადიციად გადააქცია.

უფრო მოგვიანებით, მეტწილად დიდ დასახლებულ პუნქტებში, შეჯიბრებებისათვის საგანგებოდ განკუთვნილი მოედნებიც კი მოაწყეს, სადაც უმთავრესად სხვადასხვა სახის მოძრავ თამაშობებში, თუ სხვა ვარჯიშობებში სოფლის ან სოფლების რჩეული მოვარჯიშენი პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. მათ შერკინებას ყოველთვის უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

სასოფლო მოედნებზე, მინდვრებზე თუ მთაში მოწყობილ ვარჯიშობათა ძირითადი დანიშნულება სხვადასხვა ფანდისა და ილეთის შესწავლა-გარჩევა იყო. რაც შეეხება ვარჯიშს სახალხო, ხან კი რელიგიურ დღესასწაულებზე, აქ უკვე მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდების სამხედრო-ფიზიკური მომზადების ერთგვარი შემოწმება უფროსების მიერ. ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, ხალხის ყოფა-ცხოვრებაში სასოფლო თუ სხვა საერო მოედნებზე შეკრებულობას გარკვეული დანიშნულება ჰქონდა. ასეთი სასოფლო თავშეყრა საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი; ქიზიყში მას „სოფლობა“ ეწოდება, ხევსურეთში—„ფეხონი“, ზემოსვანეთში—„ლანხაუ“, ზოგან „ერობა“...

სოფლის მცხოვრებთა შეკრებისას, ჩვეულებრივი დროსტარება იმართებოდა: მოხუცები საკუთარ და გაგონილ საგმირო საქმეებს მოუთხრობდნენ ხალხს, ჰყვებოდნენ ზღაპრებს, კითხულობდნენ საგმირო ლექსებს და მღეროდნენ შაირებს, ამავე დროს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხსაც სწყვეტდნენ. ბევრი აქ პატარა სამუშაოსაც კი ასრულებდა (თოკის დაწვნა, ქალამნების ამოსხმა, თოფის წამლის დამზადება და სხვა). ამგვარი შეკრებების როლი ქართველი ხალხის ყოფაში ძველთაგანვე ფრიად მნიშვნელოვანი იყო. თავის დროზე აქ წყდებოდა მეზობელ ტომებთან დამოკიდებულება-ურთიერთობის საკითხები.

სოფლის ახალგაზრდობისათვის ამ სასოფლო მოედნებსა და იქ მასობრივ შეკრებებს ფრიად სერიოზული დანიშნულება ჰქონდა. ეს იყო ერთგვარი სკოლა, სადაც ახალგაზრდობა ბავშვობიდანვე ეცნობოდა ყოფაქცევის ნორმებს და, პირველ ყოვლისა, სამხედრო-ფიზიკური ხასიათის ვარჯიშობებში საჭირო ჩვევებს იძენდა.

ახალგაზრდა ვაჟი, როგორც მომავალი მეომარი—დამცველი თავისი ოჯახისა, ტომისა, თუ ერისა, აქ სწავლობდა ცხოვრებისათვის საჭირო აუცილებელი წესების კოდექსს.

სასოფლო მოედანი იყო ძირითადი ადგილი, სადაც ძველად ქართველი ახალგაზრდობა აღზრდის იდეოლოგიური საფუძვლების გამომუშავებასთან ერთად სათანადო სპეციალურ სამხედრო-ფიზიკურ მომზადებასაც იღებდა.

დოც. ვ. ელაშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომასა და სპორტში საუკეთესონი

ფიზიკური კულტურა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მათი ჯანმრთელობის გაკაჟების, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მუდამ მზადყოფნის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ეს კარგად შეითვისეს ქუთაისის ავტოქარხნის ფიზკულტურელებმა, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს სპორტული მუშაობის მასობრივობისათვის.

ქუთაისელი მეავტომობილეები კარგ მაგალითებს გვიჩვენებენ არა მარტო სპორტულ მოედნებზე, არამედ წარმოებაშიც, დაზგებთან. ქვემოთ მოთავსებული მასალები მათ წარმატებებზე მოგვითხრობენ.

ირველთანრიგოსანი გავხდები

ანვარჯიში—სპორტის ეს ულა-
ხე—თავიდანვე მიტაცებდა.
ესაც ქუთაისის საავტომობილო
ანში დავიწყე მუშაობა, ყველა
ება შემექმნა სპორტში და-
ოვნებისათვის. ჩავები ტანვარ-
ის სექციაში, რომელსაც მწვრთ-
ი მირიმანოვი ხელმძღვანელობს.
მოდგინე მეცადინეობით მალე
ვარო მეორე თანრიგის მოთ-
ები შევასრულე. ახლა ვემზა-
ი პირველი თანრიგის ნორმების
ბარებლად.

რხნის ბევრ ახალგაზრდას აინ-
ესებს ტანვარჯიში, მაგრამ ჩვენ-
მის ღრმად დანერგვას ხელს
ის სათანადო ბაზის უქონლობა.
ია ძირითადად ქალაქში მეცა-
ობს, მაგრამ ქუთაისში ერთად-
და ისიც ძლიერ გადატვირთუ-
დარბაზია.

ჭიროა ქარხნის ძირეული ფიზ-
ტურული კოლექტივის ხელმძღ-
ლობამ იზრუნოს საწარმოს ტე-
ორიაზე ტანვარჯიშული ბაქნის
ობისათვის.

ს. კოზბოსნიძე,
ტანმოვარჯიშე.

მიღწეულით არ დავკმაყოფილდები

სტარტზე დავდექი, გავხედე სარ-
ბილიკს, ყურადღება დავძაბე.
!" მომესმა მსაჯის განკარგუ-
და ფინიშისაკენ გავიჭერი.
ესაც თეთრი ლენტი გავკვეთე,
ნაგებმა გამარჯვება მომილო-
— 100 მეტრი 11,9 წამში გა-
ინე.

საწყისისათვის ეს ცუდი შედე-
რაა. მტკიცედ მაქვს გადაწყვე-
ი, არა თუ შევინარჩუნო იგი,
ედ გავაუმჯობესო კიდეც.

ვიგოვე რა ქარხნის ჩემპიონის
ლი, ახალი მიზნები დავისახე.
ან პირველი და მთავარია ენერ-
ად ვიმუშაო საკუთარ თავზე,
ლო სპორტული ტექნიკა. გან-
ული მაქვს აგრეთვე ქარხნის
ქტრომექანიკურ საამქროში, სა-
მე კომკავშირის კომიტეტის
ნად ვარ. ჩამოვაყალიბო მძლეო-
ა სექცია და ჩემს მეგობრებს
ყვარო სპორტის ეს საინტერესო

რ. გედენიძე,
მძლეოსანი

ჩვენი ძირეული კოლექტივი

1.372 წევრს ითვლის სპორტული საზოგადოება „ტორპედო". ისინი ჩაბმული არიან სხვადასხვა სექციებში. ყველა საამქროსთან შექმნილია სპორტული კოლექტივი. სანიმუშოდ მუშაობენ ფიზორგები ა. ზირაქაძე (სარემონტო მექანიკური საამქრო), გ. ჯიქია (საიარაღო საამქრო), ი. ბალხამიშვილი (სამსხმელო საამქრო) და სხვ.

მიმდინარე წელს უნდა მოგვემზადებინა პირველი საფეხურის 250 ნიშნოსანი. მათგან 170 უკვე მომზადებულია. 70-მდე კაცი მოკლე ხანში დაამთავრებს ნორმების ჩაბარებას. მეორე საფეხურზე გეგმით გათვალისწინებული 25 კაციდან ნორმები 19-მა უკვე ჩააბარა. კარგადაა დაყენებული თანრიგოსნების მომზადების საქმეც. ქარხანაში 15 პირველი, 27 მეორე და 29 მესამე თანრიგოსანია. ყველა ისინი მიმდინარე წელს არიან მომზადებული.

სისტემატურად მუშაობს 7 სპორტული სექცია. საქმე ისე მოვაწყვეთ, რომ გუნდების მწვრთნელებად თვით ქარხნის მუშაკები არიან.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მიმდინარე სპორტულ სეზონში. ჩვენმა კალათბურთელებმა ქალაქში მეორე ადგილი მოიპოვეს, ფრენბურთელებმა კი პირველი. ფეხბურთის გუნდი „ტორპედო" რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. ჩვენი მოჭიდავეები — ჯ. ნიჟარაძე და ს. მიქაბერიძე ქუთაისის ჩემპიონები არიან კლასიკურ ჭიდაობაში.

ქარხნის ფიზკულტურელებმა თავიანთი ძალებით მოაწყვეს ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებსაც მზრუნველობასა და დახმარებას არ აკლებენ ქარხნის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, კვლავ წარმატებით იბრძოლებენ, რათა მოიპოვონ რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის სახელი.

ე. ნიჟარაძე,
სპორტული საზოგადოება „ტორპედოს" საქარხნო საბჭოს თავმჯდომარე.



სარემონტო-მექანიკური საამქროს მოკრივეები ნ. თორთლაძე (მარცხნივ) და პ. რიუინაშვილი საწვრთნელი ვარჯიშის დროს.

ფოტო ი. ზენკოსი

მათი პირველი სპარტაკიადა

ალაკის ველმა სა-
ხე იცვალა. აქ შენდე-
ავტომობილო ქარხანა,
ლეც რამდენიმე კი-
ეტრზეა გადაჭიმული.
უსი კორპუსს მის-
, უკვე პროდუქციას
ვიან პირველი საა-
ები და სულ მალე აქე-
გამოგრიალდება პირ-
ი ქართული ავტომანქა-

ქარხნის საყვირმა სა-
ოს დამთავრება ამცნო.
და ჩარხების რიტმუ-
მოძრაობა. საამქროებ-
ჯგუფ-ჯგუფად იკრი-
ან ახალგაზრდები. ისი-
გაცხარებით საუბრო-
ხიებს ამოწმებენ. გან-
თრებით აქტიობენ
ავშირული კომიტეტე-
მდივნები და ფიზორ-
. ხვალ იხსნება პირ-
ი საქარხნო სპარტაკია-
ათ, რატომ არის საამ-
ებში ასეთი საქმიანი
ფუსი.

— ყველა სპორტულ
ანზე! — მოუხმობდა
ნის გასასვლელთან გა-
განცხადება მუ-
შებს. — ხვალ გაიხსნება პირველი სპარტაკიადა. პროგრამაშია ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ძალოსნობა, მძლეოსნობა...

მეორე დღეს მოედანზე აუარებელი ხალხი შეიკრიბა. ყველა თავის საამქროს გუნდს თუ ცალკეულ სპორტსმენს აქებდა. კამათი შეწყდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სპარტაკიადის მონაწილენი მწყობრი რიგებით მოედანზე შემოვიდნენ. ავტოქარხნის 500-მდე ფიზკულტურელი მტკიცე ნაბიჯით მოაბიჯებდა.

დამთავრდა ალლუმი. დაუკრა ზურნამ და სარბიელზე ფალავნები გამოჩნდნენ. მათ მაგრად ჩაავლეს ხელი ერთმანეთს. გაიმართა ასპარეზობა ქართულ, შემდეგ კი კლასიკურ ჭიდაობაში. ჭიდაობა კრივმა შესცვალა, კრივი სიმძიმეთა აწევამ. უკვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები, თანრიგოსნები.

სარემონტო-მექანიკური საამქროს ოსტატმა ა. ზირაქაძემ (მსუბუქი წონა) კლასიკურ სამჭიდში 175 კილოგრამი დააგროვა და მესამე თანრიგის ნორმებს გადააჭარბა. იგი ახლა ქარხნის ჩემპიონია. მოკრივეებმა რ. ქიშაევმა (მჩატე წონა) და ნ. თორთლაძემ (მსუბუქი წონა) ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ქართულ ჭიდაობაში თავი ისახელა გ. თეთრიკაბაშვილმა.

თერთმეტი საამქროს მძლეოსნები, კალათბურთელები და ფრენბურთელები იბრძოდნენ ქარხნის ჩემპიონის წოდებისათვის.

100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა სარემონტო-მექანიკური საამქროს წარმომადგენელმა რ. გედენიძემ, რომელმაც მანძილი 11,9 წამში დაფარა. სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილი მოიპოვა ა. აბულაძემ (საიარაღო საამქრო), ყუმბარის ტყორცნაში—ს. კვიცარიძემ (საიარაღო საამქრო), 1.000 მეტრზე რბენაში — გ. მანჯგალაძემ (მოტორების საამქრო).

დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და ფეხბურთელთა მატჩები. ფინალში სატვირთო საამქროს კალათბურთელებმა სარემონტო-მექანიკური საამქროს გუნდი დაამარცხეს და ქარხნის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. ფრენბურთში ეს საპატიო წოდება სარემონტო-მექანიკურ საამქროს დარჩა, ხოლო ფეხბურთში—მოტორების საამქროს წარმომადგენლებს.

სპარტაკიადამ, რომელიც ორ კვირას გრძელდებოდა, ქარხნის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს მრავალი ნიშნოსანი და თანრიგოსანი შემატა. და განა მარტო ამ სპარტაკიადამ? ყველა შეჯიბრება, რომელიც ქარხანაში ტარდება, ყოველდღიურად ზრდის თანრიგოსანთა რიცხვს და ორგანიზაციულად ამტკიცებს ჯანსაღ კოლექტივს.

ი. ჯაბადარი

ტურისტები მზიურ აფხაზეთში

მთაკორტიზე წამოდგმული სამსართულიანი ცისფერი სახლი კოხტად გადმოჰყურებს აფხაზეთის დედაქალაქს. მარადმწვანე ხეივანში აქიქ გაფანტულა ახალგაზრდობა.

სოხუმის ტურისტთა საექსკურსიო ბაზა ყოველდღიურად 350-400 კაცს უწევს მომსახურებას, ეწყობა ექსკურსიები ქალაქის თვალსაჩინო ადგილების დასათვალიერებლად. ტურისტები ხშირი სტუმრები არიან მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ბოტანიკური ბაღის, ახალი ათონის, რიცას თვალწარმტაცი ტბისა და აფხაზეთის სხვა მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილებისა. ზაფხულის პერიოდში დღემდე 700-ზე მეტი ექსკურსია მოეწყო.

ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე 416 ტურისტმა ფეხით გადმოლახა ტებერდა-სოხუმის მაღლობები, რის გამო მათ სოხუმის ტურისტთა ბაზაში „საბჭოთა ტურისტის" საპატიო ნიშნები გადაეცათ.

საღამოობით ბაზაში ეწყობა მასობრივი გართობანი, სპორტულ მოედნებზე ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებიან კალათბურთსა და ფრენბურთში, კლუბში კი გატაცებით თამაშობენ ბილიარდს, ჭადრაკსა და შაშს.

აქ, სოხუმის ტურისტთა სახლში, თავი მოუყრიათ ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ახალგაზრდობას, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს, სტუდენტებსა და სტახანოველ მუშახტეებს, რომელნიც დასვენების დღეებს კულტურულად ატარებენ.

ნ. მიქაშავიძე

სოხუმი.

* * *

სურათზე: სოხუმის ტურბაზის შენობა.

მშვენიერაძის ბრწყინვალე ოსტატობა

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება წყალბურთში

ბაქო. (ჩვენი კორ.). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება წყალბურთში. ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო" • და გასული წლის ჩემპიონი „ტორპედო" (მოსკოვი). ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. მატჩის პირველი ნახევარი დინამოელთა სასარგებლოდ დამთავრდა (3:2). აქედან ორი ბურთი ჩემპიონის კარში წყალბურთის შესანიშნავმა ოსტატმა პ. მშვენიერაძემ გაიტანა.

მეორე ტაიმში ტორპედოელებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს, რის გამოც მსაჯმა დამატებითი დრო დანიშნა. ბრძოლა მეტისმეტად გამძაფრდა. უშაკოვმა („ტორპედო") მეოთხე ბურთი შეაგდო „დინამოს" კარში, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მშვენიერაძემ საჯარიმო სროლით გაათანაბრა ანგარიში (4:4). რამდენიმე წუთის შემდეგ მშვენიერაძე კარგ ბურთს იღებს კრიუკოვისაგან. ძლიერი სროლა და ბურთი ბადეშია — 5:4. ასე დამთავრდა მატჩი.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა სამხედრო-საზღვაო ძალების გუნდსა და კიევის „მეცნიერებას" შორის მეზღვაურთა გამარჯვებით აღინიშნა (6:3).

დიდი ინტერესი გამოიწვია საფინალო შეხვედრამ მოსკოვის „დინამოსა" და სამხედრო-საზღვაო გუნდებს შორის. ანგარიშს მეზღვაურები ხსნიან, რაზედაც მშვენიერაძე ლამაზი ბურთით პასუხობს (1:1). მცირე ხნის შემდეგ პოპოვი (სამხედრო-საზღვაო ძალების გუნდი) ზრდის შედეგს თავისი კოლექტივის სასარგებლოდ, მაგრამ მშვენიერაძე კვლავ ათანაბრებს ანგარიშს (2:2).

დამატებით დროში მშვენიერაძემ კიდევ ორი ბურთი გაიტანა, მეზღვაურებმა მხოლოდ ერთი. ამრიგად გაიმარჯვეს დინამოელებმა — 4:3. მათ გადაეცათ საპატიო ჯილდო — ბროლის თასი.

ჩვენ გვწერენ

ფიზკულტურული ბაზა შეკეთებას მოითხოვს

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქალაქ ქუთაისის ახალგაზრდობა მასობრივად ჩაება ფიზკულტურულ მუშაობაში.

გაზრდილი სპორტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია კარგად მოწყობილი სპორტული ბაზების ფართო ქსელი. ქალაქში არსებობს „დინამოს" სტადიონი, რომელიც ვერც სპორტსმენთა და ვერც მრავალრიცხოვან მაყურებელთა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. დღევანდლამდე დასაჯდომი ადგილები დანომრილი არ არის, თუმცა არც ისე ადვილია მინგრეულ-მონგრეული სკამების დანომრა. მატჩების დროს მაყურებლებს ხშირად ფეხზე უხდებათ დგომა, ტრიბუნები შესაკეთებელია და... ნაგვითაა სავსე.

საჭიროა ქუთაისის „დინამოს" სტადიონის ხელმძღვანელობამ და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტმა ზემოაღნიშნულიდან სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

ვ. ლოსაბერიძე

ქუთაისი.

გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

„უხეშობა სტადიონზე"

გაზეთ „ლელოს" 26 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო წერილი „უხეშობა სტადიონზე", რომლის ავტორი იტყობინებოდა, რომ ამას წინათ ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ჩატარებულ მატჩში საბჭოთა კავშირის თასზე ადგილობრივი „დინამოს" და „ბურევესტნიკის" ფეხბურთელთა შორის ადგილი ჰქონდა უხეშობას.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი გვაცნობებს, რომ აღნიშნული წერილი განხილულ იქნა კომიტეტის სხდომაზე ა. წ. 1 სექტემბერს.

ა. წ. 14 აგვისტოს ჩატარებული მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში ბათუმის „ბურევესტნიკისა" და „დინამოს" გუნდებს შორის კომიტეტმა გააუქმა. მატჩის მსაჯს ამხ. ატროშენკოს, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო მოედანზე საჭირო დისციპლინა და არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა მატჩი, გამოეცხადა საყვედური. კომიტეტმა ურჩია „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდს გადაარჩიონ გუნდის კაპიტანი ტანტიბა, რომელიც ვერ ამართლებს ამ საპატიო მოვალეობას. მატჩის დროს უხეშობისათვის „დინამოს" მოთამაშეს მხითარიანს გამოეცხადა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ხოლო ამავე გუნდის ფეხბურთელებს მჟავიას და მახარაძეს — საყვედური.

კომიტეტმა დაავალა „დინამოს" და „ბურევესტნიკის" ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელებს გადასინჯონ გუნდების შემადგენლობა, დააკომპლექტონ ისინი მიღწევოსანი ფეხბურთელებით და უზრუნველჰყონ გუნდებში საწვრთნელი, აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლება.

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოედნებზე

თავდასხმის კარგი თამაში

„დინამო“ (თბილისი)—„დინამო“ (კიევი)

კიევისა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის მატჩს საბჭოთა კავშირის პირველობაზე, რომელიც 13 სექტემბერს შედგა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე, ორივე გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოგების შემთხვევაში უკრაინელი სპორტსმენები 36 ქულას აგროვებდნენ და მათი ხუთეულში მოხვედრის შანსები საგრძნობლად მტკიცდებოდა. თბილისელთათვის კი დარჩენილი მატჩების წარმატებით ჩატარება ისევე აუცილებელია, როგორც წყალი თევზისათვის,—წელს მათ საკმარისად ბევრი ქულა დაკარგეს.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ვ. მორგუნოვის (მოსკოვი) სასტვენის ხმაზე გუნდები სტადიონის მწვანე მინდორზე შემდეგი შემადგენლობით გამოდიან: **სტუმრები** — ზუბრიცკი; ლაველი, ლერმანი, გოდნიჩაკი; გავრილიუკი, პრინცი; ქილინი, კომანი, დაშკოვი, ვინკოვატოვი, სენგიტოვსკი. **მასპინძლები** — მარღანია; გაგუა, ტანტიბა, სარჯველაძე; ჭელიძე, გარიშვილი (ელოშვილი); ჯოჯუა, მახარაძე, ზაზროშვილი, ლოლობერიძე, თოდრია.

სასტვენის ხმა... ზაზროშვილი ნელი დარტყმით აძლევს ბურთს მახარაძეს, და მატჩი იწყება. ბურთს სტუმრები ეუფლებიან და ვინკოვატოვი ძლიერად, მაგრამ არაზუსტად ურტყამს თბილისელთა კარში.

ტემპი მაღალია. ინიციატივა მასპინძლებმა ჩაიგდეს ხელთ და ოსტატური კომბინაციით მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს. ზაზროშვილი სწრაფად ამუშავებს ბურთს, ატყუებს თავის დარაჯს ლერმანს და გზავნის ბურთს კარში. ზუბრიცკის ნახტომი ამაოა... ბადე შეირხა.

ასე, მე-2 წუთზე სტუმრები იძულებული არიან თამაში ცენტრიდან დაიწყონ.

...მრავალრიცხოვან მაყურებელს კარგა ხანია არ უნახავს თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელთა ასეთი ოსტატური თამაში. მოედანზე უხილავ ძაფივით გაბმული მათი კომბინაციები კიეველთა თავდაცვის ზღუდეებს შეუჩერებლად არღვევდნენ. თბილისელთა ხუთეული შეთანხმებული, მაღალტექნიკური თამაშის საუცხოო ნიმუშებს აჩვენებდნენ და ბურთი ხშირად ორი-სამი გადაცემის შემდეგ კიეველთა საჯარიმო მოედანზე ჩნდებოდა. მთელი მატჩის მანძილზე ლერმანი, ლაველი, გოდნიჩაკი, ნახევარდამცველები და ზუბრიცკი ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით ებრძოდნენ თბილისელთა მრისხანე იერიშებს, მაგრამ ანგარიში იზრდებოდა...

სურათზე: დაძაბული მომენტი კიეველთა საჯარიმო მოედანზე. ზაზროშვილი (№ 9) და მახარაძე (№ 8) ერთ-ერთი კომბინაციის გათამაშების დროს.
ფოტო კ. ყირმელაშვილისა

★ ★ ★

მასპინძელთა თავდასხმას ამჯერად ზაზროშვილი ედგა სათავეში და პირდაპირ უნდა ითქვას, ეს ვარიანტი დიდი ხნით ადრე უნდა განხორციელებულიყო. ზაზროშვილი, მეტად სწრაფმავალი მოთამაშე, ტექნიკური და ტაქტიკური ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელია და მისი მოქმედება უშუალოდ ცენტრშია სწორედ მიზანშეწონილი. შუამარბად მისი თამაში გუნდისათვის აშკარად საზიანოა (შედარებით, რა თქმა უნდა), რადგან სიღრმეში დაწყებული კომბინაცია ან გარღვევა გაცილებით უფრო ძნელი დასაგვირგვინებელია, ვიდრე კარის სიახლოვეში მოქმედება და დასკვნით ფაზაში მონაწილეობა — მეტწილად დამამთავრებელი დარტყმის შესრულება (ზაზროშვილს კარგად აქვს დამუშავებული იგი).

კიეველთა შეტევა დროდადრო მძაფრ ხასიათს ატარებდა, მაგრამ, უნდა ითქვას, თბილისელთა დაცვა ამ მომენტებში მოწოდების სიმაღლეზე იდგა: ისეთი ოსტატების, როგორიც არიან ვინკოვატოვი, ქილინი და დაშკოვი, მცირე ხნით ყურადღების გარეშე დატოვება, ცხადია, კარგს არას მოუტანდა მასპინძლებს. სარჯველაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან განსაკუთრებით მაღალ დონეზე ჩაატარა მატჩი და ქილინს სისწრაფე „დაუკარგა“.

შეხვედრის პირველ ნახევარში თბილისელებმა კიდევ სამი ბურთი გაიტანეს, კიეველებმა—მხოლოდ ერთი. ბურთები ასე იქნა გატანილი:

მე-9 წუთი. გავრილიუკი საჯარიმო დარტყმიდან მაღალ ბურთს გზავნის მოწინააღმდეგის კარისაკენ... თბილისელთა დაცვას თითქოს ფეხი დაებათ, მარცხნიდან შემოჭრილ სენგეტოვსკის არავინ ულობავს გზას და უკრაინელი სამი მეტრიდან წყნარად აგორებს ბურთს ბადეში. 1:1.

მე-15 წუთი. ჯოჯუა მარცხენა ფრთაზე გადმოდის და ბურთს ეუფლება. გასწვრივი მიწოდება თოდრიასადმი, თბილისელს ლაველი ხვდება წინ, მაგრამ თოდრია კარგად ატყუებს მას და ბურთს ცენტრისაკენ კარის პარალელურად გზავნის. აქვეა ზაზროშვილი, და ანგარიში მატულობს—2:1.

22-ე წუთი. ზაზროშვილი შესანიშნავად გადის მარჯვენა მხრიდან, პირითი ხაზის გაყოლებით ამუშავებს ბურთს და მშვენივრად აწოდებს მას მოედნის სიღრმიდან გამოჭრილ მახარაძეს. ძლიერი დარტყმა 20 მეტრიდან და ბურთი ბადეშია... 3:1.

29-ე წუთი. ლერმანმა უხეშად ჰკრა ხელი ჯოჯუას. ჯარიმა... თოდრია თავის ზონაში ღებულობს გადაცემას და დაუყოვნებლივ ურტყამს კარში. ზუბრიცკი იღებს ბურთს, მაგრამ ხელიდან უვარდება იგი და მახარაძე ახლო მანძილიდან ადიდებს ანგარიშს. 4:1.

70-ე წუთი. თბილისელები ბრწყინვალე კომბინაციას ახორციელებენ. მოედნის ცენტრში ბურთს მახარაძე ღებულობს და ლოლობერიძეს აწოდებს, რომელიც თავური დარტყმით უბრუნებს მას ჯოჯუას. თბილისის „დინამოს“ მარჯვენა გარემარბი თავის სექტორში სწრაფად აძლევს ბურთს ზაზროშვილს, რომელიც ატყუებს ლერმანს, უახლოვდება კარს და კიეველები მეხუთედ იწყებენ თამაშს ცენტრიდან.

83-ე წუთი. ზაზროშვილს სწრაფად გადაჰყავს ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე და ჯოჯუა გოდნიჩაკთან ჭიდილში უკან იტოვებს უკრაინელს, შეუჩერებლად მიიწევს კარისაკენ, მარტო რჩება მეკარესთან და ანგარიშია 6:1.

თამაშის უკანასკნელ წუთებში ტემპი კვლავინდებურად მაღალია და მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, ორივე მხარე შეუპოვრად იბრძვის. გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა. მატჩი მთავრდება...

მ. გიაძე

* * *

თბილისის „სპარტაკისა“ და ქუთაისის „დინამოს“ მატჩი საბჭოთა კავშირის თასზე, რომელიც ქუთაისში 13 სექტემბერს ჩატარდა, დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით—3:2.

ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონა თბილისში

სექტემბრის მეორე ნახევა
თბილისში ჩატარდება XVIII სა
შირო ჩემპიონატი ჩოგბურთში.
რად პირველობას ერთმანეთს
ცილებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერ
სპორტსმენები საბჭოთა კავში
1948 წლის ჩემპიონი ქალთა შო
ნ. ბელონენკო (მოსკოვი), სპორ
დამსახურებული ოსტატები გ.
როვინა (ლენინგრადი), ო. კალმი
(კიევი), საბჭოთა კავშირის 1
წლის ჩემპიონი მამაკაცთა შორ
სპორტის დამსახურებული ოსტ
ბ. ნოვიკოვი (მოსკოვი), სპ
ტის დამსახურებული ოსტ
ე. ნეგრებეცკი (ლენინგრადი), სპ
ტის ოსტატები ს. ალასი (ესტონე
ე. კორბუტი (მოსკოვი), ს. ანდრ
(მოსკოვი) და სხვ.

საქართველოს ჩოგბურთელ
ენერგიულად ემზადებიან ამ საპა
ხისმგებლო შეჯიბრებისათვის. ჩ
რესპუბლიკიდან საკავშირო ტ
ნირში მონაწილეობას მიიღებენ:
ქართველოს ჩემპიონი მ. კლდია
ლი, თბილისის ჩემპიონები ჯ. მი
ვა და ვ. ურაევსკი, სპორტის ო
ტები ი. ელერდაშვილი, ბ. კრუპ
კოვა, ვ. სერებრიანიკოვი და სხვ.
საკავშირო შეჯიბრება ჩატარ
„დინამოს“ ჩოგბურთის „კორტ
და გასტანს ათ დღეს.

კორტი ბათუმში

ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.).
რის დედაქალაქში დამთავრდა ახ
კეთილმოწყობილი ჩოგბურთის
ტის მშენებლობა, რომელზედაც
მალ საწვრთნელ შეკრებას გა
სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“
ლიერესი ჩოგბურთელები.

ადგილებიდან გვატყობინებე

⊙ ჯავის რაიონის ფიზკუ
ტურისა და სპორტის საქმ
კომიტეტის ინიციატივით რ
ონის ცენტრში მოეწყო ფ
ბურთის ახალი სტადიონი.

მ. ზანგალაძ

⊙ ზუგდიდის სასოფლო-
მეურნეო ტექნიკუმის კომკ
შირის პირველადი ორგანიზ
ციის ინიციატივით ტექნი
მის ეზოში მოეწყო ფეხბ
თის, ფრენბურთისა და კალ
ბურთის მოედნები, მძლეო
ნობის სექტორები და სხვ.

ბ. ალშიბაი

ვზარდოთ ოსტატთა ცვლა

★

შენიშვნები დუბლიორთა პირველობის შესახებ

★

ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების დუბლშემადგენლობათა შეჯიბრებები 1946 წლიდან ტარდება. პირველ წელს საკავშირო კომიტეტის მიერ სპეციალურად დაწესებული ჯილდო სპარტაკელებმა მოიპოვეს. შემდეგ იგი ზედიზედ ორჯერ მოიგეს ცდკას დუბლიორებმა. ცდკას ძირითადი შემადგენლობის ბრწყინვალე გამარჯვებებს სწორედ კარგი რეზერვი უწყობდა ხელს. ხშირად, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, როცა მწყობრიდან გამოდიოდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე, კოლექტივს მათს ადგილას უმტკივნეულოდ გამოჰყავდა ახალგაზრდობა დუბლშემადგენლობიდან. არმიელთა გუნდისათვის ტრადიციად იქცა ყოველწლიურად ძირითად შემადგენლობაში ორი-სამი ახალგაზრდა მოთამაშის გადაყვანა. უკანასკნელ დროს აქ აღიზარდნენ და მომწიფდნენ ოსტატები ვ. სოლოვიოვი, ა. ვოდიაგინი, ი. ნირკოვი, ა. ბაშაშკინი, მ. დიდევიჩი, მ. როდინი, ბ. კოვერზნევი და სხვ. მიმდინარე სეზონში ცდკას დუბლიორები ჯერჯერობით მეორე ადგილზე არიან, მათ დაჰკარგეს 11 ქულა და აქვთ ბურთების კარგი შეფარდება (73:28).

გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი უჭირავს კიევის „დინამოს“ გუნდს, რომელმაც 28 თამაშიდან 45 ქულა მოაგროვა. მოსკოვის სპარტაკელებს 27 თამაშიდან აქვთ 40 ქულა და მესამე ადგილი უკავიათ. გუნდში იზრდებიან მთელი რიგი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები. მეკარე ი. კოსტიკოვი, დამცველი ი. სედოვი, თავდამსხმელები ა. პარამონოვი, ვ. ტერენტიევი წარმატებით თამაშობენ ძირითად შემადგენლობაში.

შემდეგ ადგილებზე არიან მოსკოვის გუნდები „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“.

ლენინგრადის დინამოელებმა თავისი შემადგენლობა ჩვეულებისამებრ ახალგაზრდებით გადაახალისეს. სეზონის მანძილზე გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშობდნენ მეკარე ბ. ბოიკო, თავდამსხმელები ი. ვარდიმიადი, გ. ბონდარენკო და სხვ.

წინა წლების მსგავსად წელსაც თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობა ყველაზე ახალგაზრდულია. როგორც ცდკას და „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობებში, თბილისის გუნდშიც მრავალია დუბლშემადგენლობიდან გადმოყვანილი მოთამაშე. ასე, მაგალითად, ნ. ძიაპშიპა, გ. მარღანია, ე. ტანტიბა, ი. გრამატიკოპულო. თბილისელთა დუბლშემადგენლობას ახასიათებს არათანაზომიერი თამაში. გუნდმა სეზონი კარგად დაიწყო (4 თამაშიდან 5 ქულა მოაგროვა), მაგრამ ვერ შეძლო მიღწევების განმტკიცება და 5 მომდევნო თამაშში ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა. ამის შემდეგ მათ ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვეს (მოსკოვის „დინამოსთან“ — 3:1, ერევნის დინამოელებთან —1:0 და „ნეფტიანიკთან“—3:0). პირველი წრის ბოლოს გუნდმა მოაგროვა 15 ქულა ბურთების შეფარდებით — 25:25. გუნდმა მეორე წრეში მოიპოვა ხუთი გამარჯვება, 4 მატჩი ფრედ დაამთავრა და 2 წააგო. კოლექტივში გამოირჩევიან თავდამსხმელი ვ. ქორია, რომელიც ბოლო თამაშებში წარმატებით გამოდიოდა ნახევარდაცვაში და ნახევარდამცველი ი. მეტრეველი.

საკავშირო ცხრილში უკანასკნელი ადგილები უკავიათ იმ გუნდების დუბლშემადგენლობებს, რომლებიც პირველად მონაწილეობენ გათამაშებაში. ვინაიდან ამ კოლექტივების ახალგაზრდობას არ აქვს ესოდენ საპასუხისმგებლო და ხანგრძლივ შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება, ამიტომ მათ ვერ მოიპოვეს წარმატებები ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდებთან ბრძოლაში. მაგრამ გათამაშება მათთვისაც საუკეთესო სკოლაა, რაც ხელს შეუწყობს ფეხბურთის ახალ ოსტატთა გამოვლინებას, უფრო აამაღლებს საბჭოთა ფეხბურთის კლასს.

ა. არტემიძე

„დინამო“—„ნეფტიანიკი“

9 სექტემბერს ბაქოში მორიგ კალენდარულ მატჩში სსრ კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკის“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

თამაში თბილისელთა აქტიური შეტევებით დაიწყო და მალე მახარაძემ ანგარიში გახსნა. შემდეგ ორივე გუნდმა ბევრი სცადა შეეცვალა ანგარიში, მაგრამ უშედეგოდ. მატჩი დამთავრდა თბილისელ დინამოელთა გამარჯვებით — 1:0.

„მომავალი ფეხბურთელი“
ფოტოეტიუდი ი. თათუზოვისა

ჭადრაკი

პასუხი ვ. ნადარეიშვილის № 1 ეტიუდზე

მდგომარეობა: თეთრები—მფb5,
კb4, მg7
შავები—მფh8. ეd4, პ-ბი. a4, e2,

1. კb4—c3!	e2—e1ლ
2. კc3:e1	ეd4—d5+
3. მფb5—b6	ეd5:a5
4. კe1—c3!!	ეa5—a8
5. მფb6—b7	ეa8—f8
6. მg7 f5	მფh8—g8
7. მf5—h6×	

პასუხი კონფუროგრამაზე

(იხ. გაზეთ „ლელოს“ № 6.)

1. თასი. 2. წამმზომი. 3. ჩოგანი.
ჭადრაკის ცხენი. 5. შტანგა. 6. გ
7. კეგლი. 8. ციგურა. 9. თხილამ
რი. 10. მონადირის ჩანთა. 11. ია
ქანი. 12. შუბი. 13. ჰოკეის ჩოგა
14. ხელყუმბარა. 15. ხაჯე. 16. ნ
17. პარაშუტი. 18. მარხილი.
ბურთი. 20. ხიშტი. 21. ვაზნა.
ლუზა. 23. ნიჩაბი.

პასუხისმგებელი რედაქტორ
მ. კაკაბა

გაზეთი გამოდის პარასკეობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000. უჟ 05350